

FACIO UT FACIAS!
გაკეთებ, რომ უნც გააკეთო!



კონფლიქტის

AN ALTERNATIVE TO CONFLICT

№ 5-6

მარტი - აპრილი

1999 წელი



ICCN

კონფლიქტებისა და მძლავრპარტიზანული
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

კონფლიქტების მოგვარების სწავლების პრോഗრამა საქართველოში

ყუარულით გამომცემა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (ICCN) - არასამთავრობო კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაცია - რეგისტრირებულია 1994 წელს საქართველოში. ცენტრი დაარსდა ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდის მიერ გაცემული გრანტით. ცენტრის კვლევის ობიექტია კონფლიქტების მიზეზების, მათი ადრეული გამოვლენის, კონსტრუქციული მართვისა და მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესაძლებლობათა შესწავლა. საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამა ICCN-ის პროგრამაა.

ცენტრის დირექტორი: პროფესორი გიორგი ხუციშვილი.

1996-1997 წლებში საქართველოში კონფლიქტების მოგვარების სწავლების პროგრამის ფარგლებში ქვეყნებოდა ყოველთვიური ბიულეტენი “ალტერნატივა”, ხოლო ბიულეტენში გამოქვეყნებული რჩეული მასალები და სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა ინგლისურ ენაზე ცალკე კრებულად გამოიცა, სახელწოდებით **“Understanding Conflict”** 1998 წლიდან ბიულეტენის გამოცემა განაგრძობდა ახალი სახელწოდებით “კონფლიქტის ალტერნატივა”. ახალი ბიულეტენი განაგრძობს რა ტრადიციას მიაწოდოს მკითხველს ალტერნატიული აზრი, ასევე შეეცდება წარმოაჩინოს საზოგადოების დადებითი თუ უარყოფითი რეაქცია ნებისმიერი ალტერნატივის მიმართ.

გამოცემა ფინანსდება ნორვეგიის ლგოლვილთა საბჭოს გრანტით

რედაქტორი: დეა ლაღუა

მისამართი:

ივ. მაჩაბლის 5, 1 სართული
თბილისი 380007, საქართველო

საფოსტო მისამართი:

საფოსტო ყუთი 38
თბილისი 380079, საქართველო

ტელეფონები: 99-99-87, 93-91-78

ფაქსი: 93-91-78

E-mail: confpro@access.sanet.ge

Homepage:

<http://iccn.tripod.com>

© 1999 by ICCN. All rights reserved

| უ ი ნ ა ა რ ს ი : | |
|---|---------------|
| ქარიზმატული ადამიანი | გვ. 3 |
| კონფლიქტის თეორიები | გვ. 6 |
| ქალური პოლიტიკა ... | |
| კონფლიქტის ალტერნატივა? | გვ. 9 |
| „ბურუსი“ ურთიერთობაში | გვ. 13 |
| მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ეთნიური კონფლიქტი | გვ. 15 |
| იუძორი | გვ. 19 |
| ტესტი: რამდენად ტოლერანტული ხართ? | გვ. 20 |
| ლეკ ტოლსტოი | გვ. 22 |
| პროგრამის ქრონიკა | გვ. 24 |
| ICCN - ახალი გამოცემები | გვ. 25 |
| ქცევები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტის დეესკალაციას | გვ. 26 |

ქარიზმატული ადამიანი

დალი ბერეკაშვილი

(ა. ი. სოსლანდის წერილის „ქარიზმატული ჰიროვნება ფსიქოთერაპიაში“ მიხედვით)

ქარიზმის პრობლემის განხილვას ა. ი. სოსლანდი ცნობილი მეცნიერის მაქს ვებერის სწავლების გარჩევით იწყებს.

ვებერის მიხედვით სახელმწიფოს მართვის სამი ტიპი არსებობს:

1) ლეგიტიმური ტიპი, რომელიც დამახასიათებელია ევროპული ბურჟუაზიული დემოკრატიებისათვის. მის საფუძვლად დევს არა ცალკეული პიროვნებისადმი დამორჩილება, არამედ კანონების მორჩილება, რომლებიც განაპირობებენ წესრიგის დაცვას და ძალაუფლების მემკვიდრეობითობას.

2) სახელმწიფოს ტრადიციული ტიპი, რომელიც დამახასიათებელია, მაგალითად, შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფოებისათვის, რაც დაფუძნებულია არა იმდენად კანონის ძალის რწმენაზე, რამდენადაც ძველი დროიდან არსებული ძალაუფლების და მართვის ტრადიციების სიწმინდის რწმენაზე.

3) ქარიზმატული ტიპი, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოების ლიდერის ექსტრაორდინარული უნარების ბრმა რწმენაზე, მისი ნებისადმი უეჭველ დამორჩილებაზე. ასეთი ტიპი, ხშირად, დამახასიათებელია ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის.

თვით ტერმინი “ქარიზმა” სოციოლოგებმა რელიგიიდან ისესხეს. თავდაპირველად ასე უწოდებდნენ მოციქულებზე გადმოსულ სული წმინდას მადლს. უფრო ფართე გაგებით, ქარიზმა ეს არის ღვთაებრივი ძალა, რომელიც ადამიანს ებოძა ცოდვის დასათრგუნად და სულის გადასარჩენად. მაგრამ ვებერმა, რომელიც იკვლევდა ქარიზმის ფენომენს საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტში, მას სხვა მნიშვნელობა მიანიჭა.

ვებერის მიხედვით ქარიზმატული ლიდერი დაჯილდოებულია განსაკუთრებული ნიჭით, კერძოდ, წინასწარმეტყველურით, აგრეთვე, განსაკუთრებულად ძლიერი ნებისყოფით. ისტორიაში

ცნობილ ქარიზმატულ პერსონაჟებს შორის არიან მსოფლიო რელიგიების დამფუძნებელი - ბუდა, მოსე და ქრისტე. მათვე განეკუთვნებიან მსოფლიო რელიგიების შიგნით მიმდინარეობების შემქმნელი - ლუთერი და კალვინი. მეორეს მხრივ - დიდი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები, ისეთები, როგორც ჩინგისხანი, და ნაპოლეონი. უეჭველია, რომ XX საუკუნის გამოჩენილ ქარიზმატულ პერსონაჟებს შორის არიან ჰიტლერი, მუსოლინი, ლენინი, სტალინი, მაგრამ, აგრეთვე მაჰათმა განდი და მარტინ ლუთერ კინგი.

ქარიზმის თვისება გულგრილია საქმიანობის, აგრეთვე ამ საქმიანობის მორალურეთიკური მხარისადმი. შეიძლება ეს იყოს წმინდანად აღიარებული ადამიანი, შეიძლება იყოს ადამიანი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება მასობრივი სამხედრო დანაშაულისათვის.

ამრიგად, ვებერისთვის “ქარიზმა უნდა ეწოდოს პიროვნების თვისებას, რომელიც აღიარებულია, როგორც არაჩვეულებრივი, რის გამოც ეს პიროვნება ფასდება, როგორც ზებუნებრივი, ზეადამიანური, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სხვა ადამიანებისათვის მიუწვდომელი, სპეციფიკურად განსაკუთრებული ძალებითა და თვისებებით დაჯილდოებული”.

სოსლანდი აღნიშნავს, რომ ამ განსაზღვრებიდან გამომდინარეობს შემდეგი - ქარიზმა ისეთი თვისებაა, რომლის მეშვეობითაც მისი მფლობელი ფასდება, როგორც ზემოთჩამოთვლილი თვისებების მატარებელი. მაგრამ ეს შეფასება მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილების საფუძველზე კეთდება, რადგანაც აშკარაა, რომ შეუძლებელია ისეთი თვისებების არსებობის შემოწმება, როგორცაა “ზებუნებრივი, ზეადამიანური”, ან თუნდაც “სპეციფიკურად განსაკუთრებული”. ამიტომ, ბუნებრივია ვივარაუდოთ, რომ ქარიზმის საფუძვლად ძვეს მხოლოდ უნარი

მოახდინო შთაბეჭდილება, რომ ასეთ თვისებებს ფლობ. ამრიგად, ასკვნის სოსლანდი, ქარიზმატული არის ის, ვინც არწმუნებს სხვებს, რომ გააჩნია ეს თვისებები.


სოსლანდს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა შეაქვს – მისი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ქარიზმატულებად მხოლოდ გამოჩენილი ისტორიული პერსონაჟებია მიჩნეული. სინამდვილეში არაფერი მიანიშნებს იმას, რომ ქარიზმატული აუცილებლად ე. წ. “დიდი” ადამიანი უნდა იყოს. თავის ერთ-ერთ ამოცანად სოსლანდი მიიჩნევს ქარიზმის ცნების დემისტიფიკაციას და მის გათავისუფლებას, როგორც იგი უწოდებს “გიგანტოფილიისაგან.”

იმას, რომ არ არის აუცილებელი ქარიზმატული გამოჩენილი ადამიანი იყოს ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაგალითად, ფსიქოთერაპიაში ასეთი ადამიანები საკმაოდ ხშირად გვხვდება. როგორც ცნობილი ფილოსოფოსი კარლ იასპერსი აღნიშნავს, ფსიქოთერაპია ვითარდება სექტებად და ყალიბდება გაღმერთებული მასწავლებლების გარშემო. სოსლანდი სამართლიანად აღნიშნავს, რომ თვით თერაპიული სიტუაცია მოითხოვს ქარიზმატულ პიროვნებას. პაციენტთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ფსიქოთერაპევტი ფლობს არა მხოლოდ გარკვეულ ცოდნასა და პროფესიულ ჩვევებს, არამედ, დაჯილდოებულია რაღაც არაჩვეულებრივი, აუხსნელი უნარებით, რომელთა მეშვეობით ზემოქმედებს პაციენტის პიროვნებასა და ჯანმრთელობაზე. საქმე ისაა, რომ ქარიზმისათვის დამახასიათებელი ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობა ზუსტად შეესაბამება ფსიქოთერაპიული ქმედების სტრუქტურას.

საზოგადოებრივი ცხოვრების კონტექსტში მოთხოვნილება ქარიზმატულ პიროვნებაზე თითქმის ყოველთვის კრიზისული სიტუაციით არის განპირობებული.

რაც შეეხება საკითხს ქარიზმის ბუნების შესახებ, აქ აზრთა დიდი სხვაობა არსებობს და რადგან ვერც ერთი ვერ მტკიცდება, სოსლანდის აზრით ყველა ერთნაირად დასაშვებია. ასე, ქარიზმა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ღვთით ბოძებული მადლი, მოვლენების არსში ჩაწვდო-

მისა და ადამიანებზე ზეგავლენის მისტიური უნარი; შეიძლება გავიზიაროთ უფრო ზომიერი თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქარიზმა არის ნიჭი, ტალანტი, ლიტერატურული ან მუსიკალური ნიჭის მაგვარი; და ბოლოს, ერთგვარად ექსტრემისტული პოზიცია, რომლის მიხედვით ეს არის თვისება, რომლის შექმნა შესაძლებელია ვარჯიშის შედეგად, არის მიზანდასახულად გამოუმუშავებული პროფესიული ჩვევების ჯამი.



ქარიზმის თვისებები განხილული აქვს ი. შიფერს. იგი განიხილავს ამ საქმის მრავალ ასპექტს. თუმცა, არც ერთი ამ ასპექტთაგანი არ არის მკაცრად აუცილებელი და მათი არსებობა არ ნიშნავს ერთმნიშვნელოვნად ქარიზმის მატარებლობას, მაგრამ ყოველი მათგანი ხელს უწყობს ამ საოცარი თვისების განვითარებას.

პირველი ასპექტი – უცხო კაცის ქარიზმა. აქ იგულისხმება ის გარემოება, რომ ძნელია ზეგავლენა მოახდინო იმათზე, ვისთან ერთადაც და ვის შორისაც გაიზარდე, ეს ბევრად უფრო ადვილია მოსულისთვის, უცხოელისთვის. აქ შესაძლებელია კორსიკელი ნაპოლეონის ან ქართველი სტალინის მაგალითების მოყვანა.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი – არასრულფასოვნების ქარიზმა. ქარიზმატულ პიროვნებას ძალიან სჭირდება ნიშანი, რომელიც მიუთითებს მის ავადმყოფობაზე, ნაკლზე. ძალიან მნიშვნელოვანია ქარიზმატულისთვის რაიმე თვალშისაცემი დეფექტის, სტიგმის ქონება,



მაგ: კუზის, ან კოჭლობის. ამასვე შეიძლება მივაკუთვნოთ თვალშისაცემი სულიერი დაავადება, მაგ: ეპილეფსია. “წმინდა ავადმყოფობა” – ეპილეფსია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ახდენს პათოლოგიისა და ე.წ. რჩეულობის კავშირის დემონსტრირებას (პეტრე პირველი, ნაპოლეონი, იულიუს კეისარი).

არსებობს კიდევ ისეთი ასპექტი, როგორცაა თვალთმაქცობის ქარიზმა. ქარიზმატულისთვის აუცილებელია, რომ მისი აქტიობა

რაც შეიძლება თვალშისაცემი იყოს, ყურადღება მიიპყროს. ეს ნებისმიერი საშუალებით არის შესაძლებელი, მათ შორის, აგრესიულითაც. ნებისმიერი საქმიანობა შეიძლება შეიმკოს სიმბოლოებით, ჰიმნებითა და რიტუალებით. ამასვე ემსახურება ენერგიული, ადვილად გასაგები ლოზუნგები, რომლებსაც შეუძლიათ ზემოქმედების მოხდენა და ცნობიერების შეცვლის გამოწვევა.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე „**მონოდების**“ მომენტი, როცა ადამიანი გრძნობს, რომ მოწოდებულია ამა თუ იმ მისიის შესასრულებლად.

შემდეგ მოდის ისეთი ასპექტი, როგორცაა **ქარიზმის მებრძოლი პოზიცია**, რაც გამოდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ ქარიზმაზე მოთხოვნა ყოველთვის კრიზისულ სიტუაციებშია და ასეთი სიტუაცია განსაკუთრებულ ქცევას მოითხოვს. ამიტომ მნიშვნელოვანია ქარიზმატულმა პიროვნებამ მოახდინოს დემონსტრირება თავისი საქმის ბოლომდე მიყვანის მზადყოფნისა. ქარიზმატული კრიზისულ სიტუაციაში ცდილობს მის გამძაფრებას, მისი სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ ყველა დაარწმუნოს საძნელებების სერიოზულობასა და ძნელად გადასალახაობაში, რომ საბედნიეროდ, არსებობს ადამიანი, რომელსაც ძალუძს ითავოს მათთან ბრძოლა. დანარჩენებს ისლა დარჩენიათ, მიხვდნენ, თუ ვინ არის ეს კაცი.

მებრძოლი პოზიცია გულისხმობს, რომ ნოვატორული ქმედება იწყება არსებულ ავტორიტეტებთან ბრძოლით, რითაც საპასუხო აგრესიას იწვევს. უეჭველია, რომ მსხვერპლყოფილს, ბევრად მეტი შანსი აქვს ქარიზმის განვითარებისთვის, ვიდრე იმას, ვისაც ბედმა ვერაგულად ამორა ასეთი საჩუქარი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა გმირს არავინ ესხმის თავს, საჭიროა ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, თითქოს იგი დევნილია.

შიფერი გამოყოფს, აგრეთვე ქარიზმის **სექსუალურ-მისტიკურ** ასპექტს, მიიჩნევს რა, რომ ორივე კომპონენტი ერთად მოქმედებს და, როგორც ჩანს, ერთურთს აძლიერებს. როგორც სექსუალური, ისე მისტიკური განსაკუთრებულ (ძნელი სათქმელია, საკუთრივ როგორს) ზეგავლენას ახდენს ცნობიერების

მდგომარეობაზე და ხელს უწყობს რწმენის გაჩენას, რომ მათი მატარებელი არაჩვეულებრივი უნარებითაა დაჯილდოვებული. აქ შეიძლება გრიგორი რასპუტინის თვალსაჩინო მაგალითის მოყვანა.

ამრიგად, ქარიზმა წარმოადგენს იმიჯის, იდეოლოგიისა და ინიციატივიანი მოქმედების ერთობლიობას, რაც საკუთარი გავლენის გაძლიერებასა და გაფართოებაზეა მიმართული.

მნიშვნელოვანი მომენტი - ქარიზმის დამოკიდებულება დროსა და სივრცესთან. შეუძლებელია იყო ქარიზმატული ყოველთვის და ყველასათვის. არსებითად, ქარიზმატული ისაა, ვინც მოახერხა შეზღუდული ზეგავლენის მოხდენა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფზე დროის გარკვეული მონაკვეთის განმავლობაში.

ქარიზმის სოციალური განფენილობაც განსხვავებულია. იგი შეიძლება იყოს მიკროსოციალური და მაკროსოციალური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერს შეუძლია გაიყოლოს ადამიანთა დიდი ჯგუფი, მაგ., მთელი ერი, მაგრამ ასევე ქარიზმატულად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანი, რომელსაც აღიარებს მიმდევართა მცირე ჯგუფი, მაგ., რელიგიური სექტა ან ტერორისტული დაჯგუფება.

ამრიგად, ასკვნის სოსლანდი, ჩვენს წინაშეა ჩვენთვის საინტერესო ქარიზმატული პიროვნება, რომლის თვისებები საკმაოდ არასიმპატიურია, რადგან მას ახასიათებს თვალში-



საცემი დემონსტრაციულილობა, შეზღუდული სიჯიუტე, ერთგვაროვანი აკვიატებული ქცევა.

ასეთია ამ ავტორის აზრი ქარიზმატულ ადაზრს, რასაკვირველია, ყველა არ გაიზიარებს - განსაკუთრებით რომელიმე ქარიზმატულის აღფთოვანებული თაყვანისმცემელი. ყოველ შემთხვევაში, ეს მოვლენა უაღრესად საინტერესოა.

მიანზე. ამ აღფთოვანებული ქარიზმატულის თაყვანისმცემელი. ყოველ შემთხვევაში, ეს მოვლენა უაღრესად საინტერესოა.

კონფლიქტის თეორიები

რუსუდან მშვიდლობაძე

მას შემდეგ რაც ადამი და ევა სამოთხ-
იდან იყვნენ გამოძევებულნი, კონფლიქტი მათი
მოღმის მუდმივი თანამდევნი გახდა. იბადებოდა
და ქრებოდა ცივილიზაციები, იცვლებოდა წყო-
ბილება, მაგრამ არ ნელდებოდა დაპირისპირება
ადამიანებს შორის. განსაკუთრებით მძიმე შედე-
გები კაცობრიობისათვის მოჰქონდა და დღესაც
მოაქვს წინააღმდეგობებს ეთნიკურ ჯგუფებსა და
ქვეყნებს შორის.

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გარკვე-
ული პერიოდულობით აღმოცენდება ხოლმე
“ცხელი წერტილები“, რომელთა ჩაქრობა,
განსხვავებული სტატუსისა და პროფესიის ადა-
მიანთა დიდ ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ
პრობლემის სირთულემ და აქტუალობამ განსაზ-
ღვრა მეცნიერების ცალკე მიმართულებად “კონ-
ფლიქტოლოგიის“ ჩამოყალიბება.

კონფლიქტოლოგებმა სცადეს იმ ძირითა-
დი მახასიათებლების გამოყოფა, რომლებიც ხელს
უწყობს ეთნოკონფლიქტების გაღვივებას.

სხვადასხვა რეგიონებში მიმდინარე კონ-
ფლიქტების შესწავლისას გამოიყო დაპირისპირე-
ბის უამრავი მიზეზი, რომლებსაც ერთი შეხედვით
არაფერი ჰქონდათ საერთო. მოგვიანებით შესა-
ძლებელი გახდა ამ მიზეზების კლასიფიკაცია და
მათ საფუძველზე შეიქმნა რამდენიმე თეორია.

ასეთი თეორიების არსებობას, გარდა
თეორიულისა, გარკვეული პრაქტიკული ღი-
რებულებაც გააჩნია. პირველ ყოვლისა, ისინი
დიაგნოსტიკურ ფუნქციას ასრულებენ. ფარული
და არაძალისმიერი კონფლიქტები იშვიათად
წარმოადგენენ კვლევის საგანს. ყველა კონ-
ფლიქტი გაივლის დაბადების, სიმწიფის, სიბერისა
და კვდომის ეტაპებს. კონფლიქტის შეჩერება
სწორედ დასაწყის ანუ ლატენტურ ეტაპზეა ყვე-
ლაზე მარტივი. სწორედ ამ ფაზის ამოცნობაში
დაეხმარება საზოგადოებას დაპირისპირების გა-

მომწვევი მიზეზები, რომლებსაც კონფლიქტოლ-
ოგები გამოჰყოფენ. ეს კი თავისთავად იძლევა
კონფლიქტის შესუსტების შანსს. თუ კონფლიქ-
ტი მაინც გაგრძელდა, ზოგადი თეორია დაგვეხ-
მარება ცალკეული რეგიონალური კონფლიქტები
მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გვერდით
განვიხილოთ. ეს კი თავის მხრივ გააადვილებს
და დააჩქარებს კონფლიქტის გადაწყვეტის პრო-
ცესს.

ჩვენთვის ცნობილი თეორიებიდან
შეგჩერდებით მხოლოდ სამზე. არჩევანი ერთ-
მა მიზეზმა განაპირობა: თითოეული თეორიის
საფუძველს შეადგენს ის მოტივი, რომელიც,
ავტორთა აზრით, ძირითადია კონფლიქტის დაწ-
ყებისას.

1. მოდერნიზაციისა და ინსტიტუციური
თეორიები. მოდერნიზაციისა და ინსტიტუციური,
ან სხვანაირად, ეკონომიური თეორიები ლიტერ-
ატურაში ცალ-ცალკე გვხვდება, მაგრამ ისინი
იმდენად გვანან ერთმანეთს, რომ თავისუფლად
შეიძლება მათი ერთად განხილვა.

რას წარმოადგენს მოდერნიზაციის თეო-
რია? კონფლიქტის გამომწვევ როდელ მოტივს
ანიჭებენ უპირატესობას მისი ავტორები?

განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი მნიშ-
ვნელოვანი პრობლემაა იმ სიახლესთან შეგუება,
რომელიც თან ახლავს ძველი, ტრადიციული
სისტემის რღვევის პროცესში მყოფ ქვეყანას.
იცვლება სოციალური და ეკონომიკური ურთ-
იერთობები. იცვლება მოსახლეობის აზროვნება
და ცხოვრებისეული გამოცდილება. ამას “მოდ-
ერნიზაციის პროცესს“ უწოდებენ. თეორიის
ავტორთა აზრით ეთნოკონფლიქტი მოდერნი-
ზაციის განუყოფელ ნაწილს, მის გვერდით
მოვლენას შეადგენს. ამის მიზეზია ქვეყანაში
არსებული ეთნიკური ჯგუფების სხვადასხვა

დონე და ადგილი მოდერნიზაციის პროცესში. იგულისხმება განათლება, მენტალიტეტი, ეკონომიკური მდგომარეობა. ჩნდება განცდა, რომ ქვეყანაში არსებული სოციალური უპირატესობები და მატერიალური კეთილდღეობა არათანაბრად ნაწილდება ეთნიკურ ჯგუფებს შორის. იზრდება კონკურენცია, იწყება ბრძოლა ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური სტატუსის გასაუმჯობესებლად. აქვე, სპეციალურად გვინდა აღვნიშნოთ, რომ არ არის აუცილებელი „მოდერნიზაციის უფსკრული“ (განსხვავება) ჯგუფის ეკონომიურ მდგომარეობასა და პოლიტიკურ სტატუსში რეალურად არსებობდეს. საკმარისია სიტუაცია ასეთად მიიჩნიონ. ბუნებრივია, რომ ამ თეორიის ავტორები კონფლიქტის მთავარ მოტივად ეკონომიკასა და პოლიტიკას თვლიან.

ასეთ სიტუაციაში ძალიან დიდია ლიდერისა და საერთოდ, ელიტის როლი. ზოგი მას „ელიტის კონფლიქტსაც“ უწოდებს. მაგრამ რატომ მიჰყვება ელიტას მოსახლეობა?

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ხდება მოსახლეობის მატერიალური დაინტერესება. გარდა ამისა მასას, გარკვეული ზეწოლის დროს, ახასიათებს ე.წ. „შემცდარი ცნობიერება“, ან სხვაგვარად რეალობის მცდარი გააზრება, რაც აიძულებს მას იმოქმედოს თავისივე ინტერესების საწინააღმდეგოდ, ხოლო ლიდერებს ხალხით მანიპულირების საშუალებას აძლევს.

ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური სტატუსი მართლაც შეიძლება იქცეს კონფლიქტის ერთ-ერთ წყაროდ, მაგრამ არსებობს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტივები. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ კონფლიქტების ისტორიაში კარგად ცნობილი ფაქტები, როდესაც ეთნიკური ჯგუფები უარს ამბობდნენ მატერიალურ კეთილდღეობაზე, მზად იყვნენ გაეუარესებინათ ყოფა, ოღონდაც მიეღოთ ან არ დაეთმოთ დამოუკიდებლობა. თითქოს სწორედ ასეთი შემთხვევების ასახსნლად მოიშველიეს თეორიის ავტორებმა „შემცდარი ცნობიერება“ და ლიდერების მხრიდან მასებით მანიპულირება, მაგრამ რადგან საჭიროა მასებით მანიპულირება, ეს უკვე ნიშნავს, რომ ეკონომიკური და სოციალური მოტივი ყოველთვის არ

არის საკმარისი კონფლიქტის გასაღვევებლად. სავარაუდოა, რომ ზემოქმედება უნდა მოხდეს მათ ძირეულ ღირებულებებზე. სწორედ ასეთ ღირებულებებს მიიჩნევენ კონფლიქტის წამყვან მოტივად სხვა თეორიების ავტორები._

2. კულტურული პლურალიზმი. რიგი ავტორი ეთნოკონფლიქტს კულტურულ კონფლიქტსაც უწოდებს, რადგან კულტურული განსხვავება, მათი აზრით, ის ფაქტორია, რომელიც ჩვეულებრივ ანაწევრებს ეთნიკურ ჯგუფებს. კულტურული პლურალიზმი გულისხმობს საზოგადოების შიგნით შეუთავსებელი „ინსტიტუციური სისტემების“ არსებობას. „ინსტიტუციური სისტემაში“ იგულისხმება სოციალური სტრუქტურები, ღირებულებები, შეხედულებები და მოქმედებები. ასეთ სისტემაში ნებისმიერი განსხვავებები ზნე-ჩვეულებებში, რელიგიაში, ღირებულებებში, ენაში დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გახდეს. ამ თეორიის მიხედვით ყველა პლურალისტური საზოგადოება კონფლიქტის პოტენციურ კერებს შეიცავს და ასეთი სტრუქტურის სტაბილურ მდგომარეობაში შენარჩუნება მხოლოდ სუბორდინაციის (დაქვემდებარების) გზით არის შესაძლებელი. თუ ამ პრინციპებს გავიზიარებთ, კონფლიქტის სტიმულად შეიძლება ჩავთვალოთ პლურალისტურ საზოგადოებაში მომხდარი ნებისმიერი რღვევა, თუნდაც დემოკრატიული ძვრები. არასტაბილურობა, რომელიც თან ახლავს რღვევას, კულტურულ განსხვავებებს წინა პლანზე წამოსწევს. ერთი ჯგუფის მორალური პრინციპები, რომელიც ისედაც მიუღებელი იყო მეორე ჯგუფისათვის, ესეა უკვე კონფრონტაციის მიზეზი ხდება და მართავს ურთიერთობებს. ამ დროს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებრივ სიმბოლოებს.

ამ თეორიის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ავტორებმა ვერ შესძლეს კონფლიქტის დაწყების კონკრეტული მექანიზმის დაფიქსირება. მათი აზრით, კულტუროლოგიური განსხვავებები კონფრონტაციის სტიმულად მართლაც შეიძლება იქცეს, მაგრამ ღია კონფლიქტის დასაწყებად არ იქნება საკმარისი.

3. ფსიქოანალიტური თეორიები. ბოლო წლებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ე. წ. ფსიქოანალიტური თეორიები. მათი გამოჩენა ტრადიციული მეთოდებით კონფლიქტის მოგვარების არაეფექტურობამ განაპირობა.

კონფლიქტოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ ფსიქოლოგიურ მექანიზმებზე, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ცდილობენ მოერიონ თავიანთ პრობლემებს, მათი გადატანით ინტერპერსონალურ ან ეთნო დონეზე.

არაცნობიერ ფსიქიკურ პროცესებში შეღწევა, ავტორების აზრით, ახლებურად დაგვანახებს კონფლიქტს და მის მონაწილეებს. ფსიქოანალიტიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დაპირისპირება ორ ოპოზიციურ ჯგუფს შორის ხშირად ეფუძნება ფსიქოანალიტიკოსებისათვის ფუნდამენტურ ცნებებს: მტრის ყოლის მოთხოვნილება, ნარცისიზმი (საკუთარი თავით ტკობა), დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ფსიქოლოგიური დისტანციის არსებობის მოთხოვნილება.

მტრის ყოლის (მტრის ხატის) მოთხოვნილება აიძულებს ინდივიდს ან ჯგუფს ეძებოს და აღმოაჩინოს ობიექტი, რომელზეც გადაიტანს „მე“-ს ცუდ ნაწილს, რომელიც უარყოფილი და განდევნილია არაცნობიერში.

ტერიტორიული, კულტურული, ან ეთნიკური მსგავსება აიძულებს დაპირისპირებულ ჯგუფებს დაამახინჯონ მსგავსება და ყურადღება გაამახვილონ მცირე განსხვავებებზე. ეს აძლიერებს ჯგუფის შიგნით მყოფი ადამიანების იდენტობის (ერთიანობის) განცდას, აადვილებს „მტრის ხატის“ შექმნას და განმასხვავებელი თვისებები იქცევა იმ ღირებულებებად, რომლებიც სთვისაც თავს გასწირავენ.

ფსიქოანალიტიკოსი ავტორების აზრით, „მტრის ხატს“ უკავშირდება ისეთი პროცესებიც, როგორცაა დეპუმანიზაცია და ისტორიული შუღლი. ორივე პროცესი ხელს უწყობს ჯგუფის გამოყოფას და აადვილებს აგრესიის გამოვლენას, ორივე პროცესი წარმოადგენს სინამდვილის სტერეოტიპულ აღქმას.

კონფლიქტის ფსიქოანალიტური თეორია, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს დაპირისპირების სიღრმისეული, მიჩქმალული მექანიზმების

გაცნობიერებას. ამასთანავე, მას დიდი წვლილი მიუძღვის კონფლიქტური ქცევის უნივერსალური ნიშნების გამოყოფაში, მაგრამ ყურადღების გარეთ რჩება, ჩვენი აზრით, დაპირისპირების კონკრეტული ობიექტური სიტუაცია. უმეტესად კი ფსიქოლოგიური ასპექტი და ობიექტური სიტუაცია ისე მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს, რომ მათი გაყოფა თითქმის შეუძლებელი ხდება.

ზემოთ განხილული სამი თეორიიდან არცერთი არ არის უნაკლო, მაგრამ ჩვენთვის ისინი საინტერესოა პირველ რიგში კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების განზოგადების ტენდენციით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონფლიქტები მთელ პოსტსაბჭოთა ტერიტორიას მოედო. სამწუხაროდ, გამონაკლისს ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს, მაგრამ არც კონფლიქტების გაჩენის და არც მათი მიმდინარეობის დროს ჩვენ არ დავინტერესებულვართ სხვა ქვეყნების გამოცდილებით, რადგან კონფლიქტი ყოველთვის უნიკალურ მოვლენად განიცდება. ამ აზრის ილუსტრაციაა ლ. ტოლსტოის ცნობილი ფრაზა – “ყველა ბედნიერი ოჯახი ჰგავს ერთმანეთს, ხოლო ყველა უბედური ოჯახი თავისებურად უბედურია”. ოჯახური კონფლიქტის ეს განცდა ეთნოკონფლიქტებისთვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ განცდა ყოველთვის არაა სანდო. კონფლიქტების წარმოშობისა და დაძლევის საერთო ნიშნების მოძებნა არის კონფლიქტოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი. სწორედ ამის გამო, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონფლიქტოლოგიის მსოფლიო გამოცდილების გააზრება და გამოყენება ჩვენი პრობლემების გადასაჭრელად.

ქალური პოლიტიკა... კონფლიქტის ალტერნატივა?

თინა ასათიანი

1998 წლის სექტემბერ/ოქტომბრის ნომერში, ჟურნალ “Foreign Affairs”-ში დაიბეჭდა ფრენსის ფუკუიამას სტატია “ქალები და მსოფლიო პოლიტიკის განვითარება”. ამ სტატიამ მკითხველში დიდი ინტერესი გამოიწვია და გამოხმაურებაც ჰპოვა. თუმცა, ამ სტატიას მოდავეებიც გამოუჩნდნენ. იმავე ჟურნალის 1999 წლის იანვარ/თებერვლის ნომერში რუბრიკით “პასუხები” დაიბეჭდა ბრაიან ფერგიუსონის, ლაიონელ თაიგერის, კატკა პოლიტის და სხვათა გამოხმაურებები, სადაც ავტორები ერთის მხრივ ედავებიან ფუკუიამას თითოეული მოსაზრების გარშემო, ხოლო მეორეს მხრივ, აღნიშნავენ მის მნიშვნელოვან მიგნებებსაც. თუმცა არავინ საუბრობს იმ ძირითად იდეებზე, საითაც ამ მშვენიერ, საინტერესო სტატიას მივყავართ. ქვემოთ მოტანილია ამ სტატიის ძლიერ შემჭიდროებული მიმოხილვა, რათა მოხდეს იმ სამომავლო იდეების დაფიქსირება, საითკენაც მიმართულია ფუკუიამასეული აზროვნების გეზი.

* * *

1970-იანი წლების ბოლოს, ნიდერლანდებში, არნჰემის ზოოპარკში, შიმპანზეების უდიდეს კოლონიაში მაკიაველის რომ შეეფერება ისეთი ბრძოლა გაჩაღებულია შიმპანზეებს შორის ძალაუფლებისათვის. ახალგაზრდა მამრ ლიუიტს პოზიციებიდან ჩამოუქვეითებია ხანდაზმული მამრი იერონი. ვინაიდან იგი ამას ვერ მოახერხებდა მხოლოდ თავისი ფიზიკური ძალის წყალობით, ლიუიტი ალიანსში შესულა ასევე ახალგაზრდა მამრ ნიკისთან. მას შემდეგ, რაც ლიუიტი მოექცა სათავეში, ნიკი დაკავშირებია გადამდგარ ლიდერს და თავად მოუპოვებია პირველობა. ეტყობა ლიუიტი საშიშროებას კვლავაც წარმოადგენდა, რადგან ნიკისა და იერონს იგი მხეცურად მოუკლავთ.

ჯეინ გუდელი ცნობილი გახდა თავისი კვლევებით შიმპანზეებთან, რომელიც ჩაატარა ტანზანიაში, გომბის ნაციონალურ პარკში. საუბარია ოცდაათიოდე შიმპანზეზე, რომლებიც მშვიდობიანად ცხოვრობდნენ 1970-იან წლებამდე, როდესაც მოხდა მათი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად დაყოფა. იმის შესახებ, თუ რა მოხდა შემდეგ მოგვითხრობენ რიჩარდ ვრენგჰემი და დეილ პატერსონი თავის წიგნში “დემონური მამრები” (1996). 4-5 მამრისაგან შემდგარი ჩრდილოეთის ჯგუფები აწარმოებდნენ არა მხოლოდ საკუთარი ტერიტორიის დაცვას, არამედ თავს ესხმოდნენ სუსტ, ან მოუშხადებელ ინდივიდებს სამხრეთში და მხეცურად უსწორდებოდნენ მათ. საშინელ მკვლევლობებს თან სდევდა ალფროთოვანებული, აგზნებული შეძახილები. სამხრეთის ჯგუფში დახოცეს ყველა მამრი და რამდენიმე მდედრი. დარჩენილი მდედრები შეუერთდნენ ჩრდილოეთის დაჯგუფებას. ფუკუიამას აზრით, რომაელებს კართავენ-ისათვის ჩვ. წ. აღ-მდე 146 წელს ამაზე მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში აღსანიშნავია ერთის მხრივ ძალადობა, რაც იშვიათად ახასიათებს ცხოველებს სახეობის შიგნით და მეორეს მხრივ კოალიციები, რომელებსაც, როგორც ადამიანებთან, ისე შიმპანზეებთან, უმეტესწილად მამრები ახორციელებენ.



დაახლოებით 30 წლის წინ ანთროპოლოგმა ლაიონელ თაიგერმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მამაკაცების ურთიერთკავშირს გარკვეული ფსიქოლოგიური რესურსები აქვს. ეს მომდინარეობს იქიდან, რომ მათ აქვთ ერთობლივი ნადირობის მოთხოვნილება. სწორედ ამით აიხსნება მათი დომინირება ჯგუფური ორიენტაციის აქტივობებში, პოლიტიკასა და ომში. თაიგერი ერთ დროს სასტიკად იქნა დაგმობილი ფემინისტების მიერ, რადგან მან გამოთქვა მოსაზრება ფსიქოლოგიური განსხვავებების თაობაზე სქესებს შორის, რასაც, მისი აზრით, ბიოლოგიური საფუძველი აქვს.

მრავალი წლის განმავლობაში ანთროპოლოგები თვლიდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ მონადირე-შემგროვებლის (პირველყოფილი თემური წყობილების) პერიოდში ბუნებით პასიურები იყვნენ, და თუკი დღეს მამრ შიმპანზეებსა და მამაკაცებს ომისა და ძალადობისაკენ აქვთ მიდრეკილება, მიზეზები ამ უკანასკნელთა შემთხვევაში ცივილიზაციაში, და არა ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. მათი აზრით, ძალადობა და პატრიარქატი უფრო გვიანდელი მოვლილია. უახლეს კვლევებში კი, ისევე, როგორც ლოურენს კელის წიგნში “ომი ცივილიზაციამდე” აღნიშნულია, რომ მონადირე-შემგროვებელი საზოგადოებისათვის გაცილებით უფრო მეტად და უფრო დიდი სიხშირით იყო დამახასიათებელი ომები და მკვლელობები, ვიდრე დღევანდელისთვის. მოიხსენიებს რა კოლუმბიასა და ბოსნიას, როგორც თანამედროვეობის განსაკუთრებით ტრაგიკული მოვლენების განვითარების ადგილებს, ფუკუიამა აღნიშნავს, რომ ყოველივე ეს “უკან იხევს იმ პრეცედენტებთან შედარებით, რაც ხდებოდა ათეული, თუ არა ასეული და ათასეული წლების წინ.”

თანამედროვე ფემინისტები თვლიან, რომ ძალადობა, ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ძირითადად მამაკაცებისთვისაა დამახასიათებელი და მათ მიერვეა ჩადენილი და შეიძლება ითქვას, რომ “არ არსებობს უცოდველობის პერიოდი შიმპანზეებიდან მოყოლებული დღემდე.” მათი აზრით საზოგადოება, რომლის მართვაში აქტიურად ჩაერთვებიან ქალები, განსხვავებულ კანონებს დაემორჩილება – იქნება ნაკლებად აგრესიული, ნაკლებად კონკურენტული და ნაკლებად ძალადობრივი. მნიშვნელოვანია, რომ იგივე მიმართულებით მიემართებიან პოსტინდუსტრიული დასავლური საზოგადოებებიც.

ფემინისტური მსოფლმხედველობის პრობლემა იმაშია, რომ იგი ძალადობას, ძალაუფლებასა და სტატუსისაკენ ლტოლვას განიხილავს, როგორც პატრიარქალური კულტურის პროდუქტს ბიოლოგიური ძირების გაუთვალისწინებლად. რეალობა კი ისეთია, რომ მამაკაცები ნაკლებად განვითარებულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში კვლავაც ითამაშებენ დომინანტურ როლს. საერთაშორისო ურთიერთობები, პოლიტიკა, კვლავაც იქნება მათი კონტროლის ქვეშ და იმაზე დიდი ხნის განმავლობაშიც, ვიდრე ამას ფემინისტი ქალები ისურვებენ. ის კი, რაც თანდაყოლილია, მარტივად ვერ შეიცვლება კულტურული და იდეოლოგიური ზემოქმედებით.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ბიოლოგებისათვის რასა ან ეთნოსი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ბიოლოგიური კატეგორიები, როგორც სქესი. იგულისხმება ის, რომ ვთქვათ, განსხვავებული რასები გამოჩნდა სადაც 100 000 წლის წინ, რაც ევოლუციური დროის თვალსაზრისით თვალის დახამხამებაა მხოლოდ. იგივეს ვერ ვიტყვით სქესთან დაკავშირებით. დღესდღეობით ყველა მნიშვნელოვანი ბიოლოგი-ევოლუციონისტი თვლის, რომ სქესებს შორის არსებობს ძირეული განსხვავებები, რასაც უფრო გენეტიკური ფესვები აქვს, ვიდრე კულტურული და ეს განსხვავება ვრცელდება სხეულის იქით, გონით სფეროშიც.

არც ერთ სფეროში არ ჩანს გენდერული განსხვავებები ისე ნათლად, როგორც ქალისა და მამაკაცის დამოკიდებულებაში აგრესიისა და ძალადობის მიმართ. არსებობს გარკვეული სტრუქტურული პეტი და მთელი რიგი ფსიქოლოგიური კვლევები ქალებთან და ვაჟებთან მიმართებაში, სადაც საუბარია იმაზე, რომ ქალები უფრო ნაკლებად კონკურენტულნი არიან, მეტად ემორჩილებიან ზემოქმედებას, აქვთ უფრო დაბალი თვითპატივისცემისა და თვითაღიარების დონე და ა.შ. ამგვარ

საკითხებზე მიმდინარეობს მსჯელობა და დავაც. კაცი ასოცირებულია ომთან და შეჯიბრთან, ხოლო ქალი მშვიდობასთან და თანამშრომლობასთან. ფაქტია, რომ ამ მიმართულებით არსებობს გარკვეული სტერეოტიპები. თუმცა, სინამდვილეში არსებობს ომისა და ძალადობის მომხრე უამრავი ქალი და მშვიდობისმოყვარე მამაკაცი.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ საკითხების ირგვლივ არსებული შეუთანხმებლობისა, ფაქტიურად ასობით გამოკვლევებში არ დაობენ იმის თაობაზე, რომ საზოგადოდ ვაჟები უფრო აგრესიულნი არიან სიტყვიერადაც, ქმედებითაც, წარმოსახვაშიც - ვიდრე ქალები. ცნობილია, რომ დანაშაულის უდიდესი უმრავლესობა, განსაკუთრებით რაც შეეხება ძალადობას, ჩადენილია მამაკაცების მიერ. თანაც დადგენილია, რომ ასაკობრივი თვალსაზრისით, ძალადობრივი დანაშაულების უმეტესობა 15-30 წლის მამაკაცებზე მოდის. ლაიონელ თაიგერი და რობინ ფოქსი ჯერ კიდევ 1971 წელს თავიანთ წიგნში "The Imperial Animal" აღნიშნავენ, რომ ნებისმიერი სოციალური სისტემის ცენტრალური საკითხი მდგომარეობს იმაში, თუ "რა ვუყოთ ახალგაზრდა მამრებს". თაიგერის აზრით, ეს შეკითხვა დღესაც აქტუალურია. ყოველ საზოგადოებაში უფროსი მამაკაცების ფუნქციაა ახალგაზრდებში მომძლავრებული აგრესიისა და ძალადობის რიტუალიზება, მისი უფრო უნიფათო მიმართულებით წარმართვა. რალა თქმა უნდა, კულტურა, აღზრდა გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს და არც ისეა საქმე, რომ "სქესი ადამიანის ბედის განმსაზღვრელი იყოს". მაგრამ ისიცაა, რომ მამაკაცის ბიოლოგიური ფესვების იმგვარი შეცვლა, როგორც ეს ზოგიერთ ფემინისტს წარმოუდგენია, სრული უტოპიაა. "ფემინისტთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ გენდერული თავისებურებები შეიძლება ჩამოიშორო ძველი სვიტრივით..." მამაკაცების აგრესიული ფანტაზიებისაგან და კონკურენციისაგან განთავისუფლება მათი აღზრდის საშუალებით, ფუკუიამას არარეალურად მიაჩნია. ბუნებრივია, არსებობს უამრავი მშვიდობისმოყვარე, ტოლერანტული მამაკაცი და ისეთი მამაკაცური გონების მქონე ქალებიც, როგორცაა მარგარეტ ტუტჩერი, ან ინდირა განდი, რომლებიც "თამაშობენ მამაკაცების თამაშის წესებით" და ამარცხებენ მათ მათსავე თამაშში (რიგი ავტორების აზრით, ეს წესის დამადასტურებელი გამონაკლისებია). მაგრამ საუბარია ფემინური და მასკულინური საწყისების, ტენდენციების შესახებ, რომელსაც შესაძლებელია პოლიტიკაში ახორციელებდეს როგორც ქალი, ასევე მამაკაცი; მშვიდობიანი, ტოლერანტული, თანამშრომლობითი მიმართულების გამტარებელი შეიძლება იყოს მამაკაცი, ხოლო ძალადობრივისა და კონკურენტულის - ქალი.

დღესდღეობით არსებობს უამრავი ლიტერატურა გენდერული საკითხების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში და პოლიტიკაში. ესაა ენ თიკნერის, სარა რუდიკის, იუდიტ შაპიროსა და სხვათა ნაშრომები. ეს ლიტერატურა განსხვავებულია და მრავალფეროვანი, მაგრამ ძირითადი პრობლემატიკა ეხება იმას, თუ როგორ იწარმოება მამაკაცების მიერ, მათ მიერვე გააზრებული და გათვლილი საერთაშორისო პოლიტიკა. პოლიტიკა, რომელიც ემსახურება მათ ინტერესებსა და მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ამ პოლიტიკის შეფასებასა და ინტერპრეტაციას სხვა მამაკაცი ახდენენ, ისევ და ისევ მათი საკუთარი პერსპექტივების შესატყვისად.

დღესდღეობით საუბარია იმაზე, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ქალების გააქტიურება, მათი სულ უფრო მეტი მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უკვე გახდა გარკვეული სასიკეთო ცვლილებების მომტანი. მაგრამ, რაში მდგომარეობს მათი როლი პოლიტიკაში, სად და როგორ უნდა ჩაერთონ ქალები საგარეო ურთიერთობების წარმართვაში, რისი მომტანი იქნება მსოფლიო პოლიტიკისათვის ამომრჩეველი და გადაწყვეტილების მიმღები ქალების მომრავლება. ესაა საკითხები, რაზეც ფიქრობენ და მუშაობენ პოლიტიკის გენდერული საკითხებით დაინტერესებული ადამიანები. ფაქტია, რომ ფემინური მიმართულება პოლიტიკაში, გულისხმობს ძალადობრივი და აგრესიული ტენდენციების კონტროლს - შემუშავებული ნორმების, კანონების,

შეთანხმებების, ქსელში გატარების გზით. არსებობს კვლევები, რომლის თანახმადაც, ქალები გაცილებით მეტად აპროტესტებენ ძალის, როგორც ლეგიტიმური საშუალების გამოყენებას კონფლიქტის გადასაწყვეტად. დადგენილია, რომ არსებობს კორელაცია გენდერსა და ანტიმილიტარიზმს შორის. ყოველივე ეს იძლევა იმედს, რომ ქალის მზარდი მონაწილეობა პოლიტიკაში განაპირობებს ძალის გამოყენების შეზღუდვას, რაც სავსებით განხორციელებადია მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევაში.

აქ ჩნდება კიდევ ერთი პრობლემა. იქნება კი, ასეთი ცვლილება (სახელმწიფოების პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა ნაკლები მილიტარიზმისა და ძალაუფლების მიმართულებით) სასიკეთო ამ ქვეყნებისათვის? ფუკუიამას აზრით, დემოკრატიული მშვიდობის ზონის სახელმწიფოებისათვის - კი. ამ ქვეყნებში ბრძოლა უფრო ეკონომიკური ხასიათის იქნება, ვიდრე პოლიტიკური, ან ძალაზე დამყარებული. მაგრამ მათ მოუწევთ ურთიერთობა ისეთ სახელმწიფოებთანაც, რომლებიც წარმართება ახალგაზრდა, აგრესიული მამაკაცების მიერ და მათი კანონებით. დღესაც მრავლადაა მილოშევიჩები, სადამ ჰუსეინები, მახუტუები.

ფემინისტების შეხედულებებში არსებობს გაორება იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს პოლიტიკაში და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილე ქალების ქცევა - ტრადიციული მასკულინური (მარგარეტ ტეტჩერისეული), თუ ფემინური (გრო ჰარლემ ბრუნტლანდისეული). თუ ვინმე, სადამ ჰუსეინის მსგავსი მომავალშიც “იჯდება ნავთობის მარაგზე” და თანაც შეიარაღებული იქნება ქიმიური და ბიოლოგიური იარაღით, “ალბათ უმჯობესია გემართოს მარგარეტ ტეტჩერისნაირმა ქალმა, ვიდრე გრო ჰარლემ ბრუნტლანდის მსგავსმა”. მასკულინური პოლიტიკა მოითხოვს ისევ და ისევ მასკულინური ტიპის ლიდერებს, თუმცა არა ყოველთვის. ფემინური სამშვიდობო პოლიტიკის წარმოება, რაღა თქმა უნდა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, მრავალი სასიკეთო შედეგის მომტანი უკვე არის და არა მხოლოდ საგარეო პოლიტიკაში.

ვრენგჰეიმი და პეტერსონი თავიანთ წიგნში “დემონური მამრები” პესიმისტურ დასკვნამდე მიდიან იმის თაობაზე, რომ ჰომინიდებიდან მოყოლებული არაფერი შეცვლილა ადამიანებში - ჯგუფის სოლიდარობა დღესაც ემყარება სხვა დაჯგუფების მიმართ აგრესიას, თანამშრომლობა შეგნებულად გამოიყენება, როგორც ორგანიზებული ძალადობის უფრო მაღალი დონე. ძნელია უყურო კონფლიქტებსა და შეტაკებებს ბოსნიაში, რუანდაში, საქართველოში, წერს ფუკუიამა, სადაც მამაკაცების დაჯგუფებები გაუთავებლად ღვრიან ერთმანეთის სისხლს და არ გაგახსენდეს “გომბის” შიმპანზეები. არა და ამ უკანასკნელების შემთხვევაში ლაპარაკი იყო ერთ მუჭა ინდივიდებზე. მაშინ, როცა ადამიანს შეუძლია გაანადგუროს ათობით მილიონი. მიუხედავად ამისა, სურათი არც ისე უიმედოა. ადამიანები მთლიანად ვერ განთავისუფლდებიან ბიოლოგიური ბუნებისაგან. მასკულინურ საზოგადოებაში ვერ მიოსპობა, მაგალითად, სტატუსის იერარქიაში დომინირების მოთხოვნილება, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებაში შესაძლოა გაიხსნას ბევრად მეტი მშვიდობიანი არხი ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სადაც ყველაფერი არა ძალადობაზეა დამყარებული, არამედ სოციალურად სასარგებლო აქტიობაზე.

„ბურუსი“ ურთიერთობაში

მაია რაზმაძე

ჩვენ ვაგრძელებთ თემას ეფექტური ურთიერთობების წარმართვის შესახებ, თუ რა უწყობს და რა უშლის ხელს ადამიანებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამჯერად თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ადამიანების მიერ “ხატების” შექმნაზე და თუ როგორ უნდა ვიურთიერთოთ, რომ ხატის შექმნამ არ გამოიწვიოს კონფლიქტი.

ეფექტური ურთიერთობის ტერმინებში, რომ გადავიყვანოთ – სხვებთან ურთიერთობა ნიშნავს პარტნიორის "ხატების" გათვალისწინებას და ანგარიშის გაწევას.


რა არის “ხატი”? წარმოდგინეთ, შემდეგი სიტუაცია: თქვენ გესაუბრებიან ცხოველის შესახებ, რომელსაც არა აქვს გარეგანი სმენის ორგანო, არც ფრთები აქვს, არც ფეხები, აქვს ორი თვალი, ერთი პირის ღრუ. ამ ინფორმაციის საფუძველზე თქვენ შეგექმნებათ გარკვეული “ხატი” და ალბათ გამოიცნობთ, რომ საქმე ეხება გველს.

“ხატები” იქმნება აღქმისა და აზროვნების შედეგად, რასაც სჭირდება გარკვეული ენერგია და ძალისხმევა, აგრეთვე ამ პროცესს ახლავს გარკვეული ემოციები. ენერგიას, რომელიც სჭირდება “ხატების” შექმნას, ჩვენი ორგანიზმი საკმაოდ ეკონომიურად და გონივრულად ხარჯავს, და თუ რაიმე ხატის შექმნაში მას ენერგია აქვს ჩადებული, თავგამოდებით იცავს. რაც უფრო ინტენსიურია (ძლიერია) “ხატთან” დაკავშირებული ემოციები, მით უფრო მეტი ენერგია იხარჯება მათ შექმნაზე და იზრდება ალბათობა იმისა, რომ ფსიქიკა მას თავგამოდებით დაიცავს. მაგალითად, თქვენს მეზობელ ახალგაზრდა ყმაწვილზე გაქვთ შექმნილი გარკვეული “ხატი”: ის არის წესიერი, ზრდილი, პატიოსანი და უეცრად იგებთ, რომ ის მოკლა პოლიციამ, როგორც ერთ-ერთი

ყველაზე სახიფათო ბოროტმოქმედი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით აწამებდა ხალხს ფულის გამოძალვის მიზნით. თქვენ უკვე გქონდათ ჩამოყალიბებული “ხატი” ამ ყმაწვილის შესახებ და ახალი ინფორმაციის საფუძველზე ძველი “ხატი” ახლით უნდა შეიცვალოს, რაც თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს და დაკავშირებულია სტრესულ სიტუაციასთან, აქედან გამომდინარე – დისკომფორტთან. შესაძლოა თქვენ კონფლიქტი მოგივიდეთ ამ ინფორმაციის მომტანთან, გააჩნია თუ რამდენად მტკიცე იყო მეზობელი ყმაწვილის შესახებ თქვენში არსებული “ხატი”.

რაც უფრო მეტი დასკვნა გვაქვს გაკეთებული შექმნილი “ხატის” საფუძველზე, მით უფრო მეტი ენერგია დაგვენარჯება ამ “ხატის” შეცვლასა ან საერთოდ მის უარყოფაზე. მაგრამ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ზოგიერთი ადამიანი უფრო ადვილად ხარჯავს ენერგიას “ხატის” შეცვლაზე და ახალი “ხატის” ჩამოყალიბებაზე. ასეთ ადამიანს ვუწოდებთ ფლექსიურს, ანუ, ადამიანს, რომელსაც გონივრული არგუმენტების საფუძველზე შეუძლია აზრის შეცვლა და არ ეჯაჭვება ადრე შექმნილ “ხატს”. და, პირიქით, თუ პიროვნებას ახასიათებს ძველ “ხატთან” მიჯაჭვულობა და ვერანაირი არგუმენტი ვერ ცვლის მის მოსაზრებას, მას ვუწოდებთ რიგიდულს, ანუ ჯიუტს.

“ხატებს” ადამიანები მთელი ცხოვრების მანძილზე ქმნიან. თუ წარმოვიდგინოთ ყველა “ხატს”, რომელიც ცხოვრების მანძილზე შეგვიქმნია, როგორც აგურის კედელს, რომლის ცალკეულ აგურებს “ხატები” წარმოადგენენ, მაშინ მიგვხვდებით, რომ “ზედა ხატები”, ანუ ახლადშექმნილი “ხატები”, ბუნებრივია, ადრეულ “ხატებზე”,



ქველა "ხატებზე" დევს. თუ გამოვადრობთ ქვემოთ მდებარე აგურს (ხატს) ჩამოცვივდება მასზე დაყრდნობილი ყველა აგური.

თუ გამოვადრობთ A აგურს, ჩამოვარდება B, C, D აგურებიც. თუ ავიღებთ X აგურს, კედელს დიდად არაფერი დაუშავდება. მაგალითად, ახლადგაცნობილ ადამიანზე ჩვენ უფრო ადვილად შეგვაცვლევინებენ აზრს, ვიდრე ძველ ნაცნობზე ან მეგობარზე, რადგან ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ჩვენ მრავალი ერთმანეთზე დაწყობილი "ხატი" გვაქვს შემნილი, ანუ ამ "ხატების" კედელი გვაქვს აღმართული, საიდანაც რომელიმე აგურის (ხატის) გამოცვლა გამოიწვევს დიდ ნახვრეტს კედელში. ჩვენი ფსიქიკა ამას რთულად იტანს და მიმართავს მის განკარგულებაში მყოფ ყველაზე ძლიერ დაცვით მექანიზმს - აღარ აღიქვავს იმ ინფორმაციას, რომელიც ეწინააღმდეგება მის მიერ შექმნილ "ხატს". მანამ სანამ ეს საფრთხე

აქტუალურია ჩვენ ვცდილობთ დავინახოთ და გავიგოთ მხოლოდ ის, რაც არ დაანგრევს შექმნილ "ხატებს". ამ მდგომარეობას "ფსიქოლოგიური ბურუსი" ეწოდება. ალბათ გამოგიცდიათ თუ რა ხდება რეალურ, ბუნებაში არსებული ბურუსის დროს - საგნების გამოსახულება ბუნდოვანი ხდება და იკარგება, ბუნდოვანდება ბგერაც. როდესაც ჩვენ ფსიქოლოგიურ ბურუსში ვიმყოფებით, ჩვენთვის ჭეშმარიტებაა არა ის, თუ რას გვეუბნებიან, არამედ ის, რაც ჩვენ გავიგეთ, რათა თავიდან ავიცილოთ "ხატებზე" თავდასხმა.

თუკი თქვენ განზრახული გაქვთ ადამიანს შეაცვლევინოთ ვინმეზე ან რაიმეზე აზრი, ანუ თავს დაესხათ სხვის "ხატებს", შეგიძლიათ გამოიყენოთ ანტიბურუსის ტექნიკა. იგი გავიადვილებთ საქმეს და დაგიზოგავთ ენერგიას.

ანტიბურუსის ტექნიკა

არსებობს ორი შესაძლებლობა:

1. თქვენ თავიდანვე იცით, რომ სხვის "ხატებზე" მოახდენთ თავდასხმას, ე.ი. იცით, რომ თქვენს მიერ გამოთქმული აზრი სხვაში ბურუსს გამოიწვევს.

2. თქვენ არ იცით, რომ თქვენს მიერ გამოთქმული აზრი სხვაში ბურუსს გამოიწვევს და მხოლოდ მის დაცვით რეაქციაზე ხვდებით, რომ თქვენი მოსაზრებები განსხვავდება ერთმანეთისგან. არგუმენტირების დროს, ჩვენ ვსარგებლობთ ორი ტიპის გამონათქვამებით

ა) ძირითადი გამონათქვამი (რომელიც "ხატს" ესხმის თავს).

ბ) განმარტებები (რომლითაც ჩვენ გვსურს "ხატზე" თავდასხმის ახსნა)

როდესაც ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ ძირითადი გამონათქვამით “ხატს” თავს ვესხმით, აქ კარგი იქნება მოსაუბრის წინასწარ შემზადება და მისი ნაბიჯ-ნაბიჯ მიყვანა ძირითად აზრამდე. ჯერ ერთი მოსაუბრე თავიდანვე არ იმყოფება ფსიქოლოგიურ ბურუსში და ადვილად მიიღებს არგუმენტებს, მეორეც, ნელ-ნელა შეგამზადებთ "ხატის" შეცვლისათვის. მაგალითად, ცოლმა წინასწარ იცის, რომ მეუღლე წინააღმდეგი იქნება მისი სამსახურში გასვლისა. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია განმარტებებით შეამზადო სიტუაცია, შემდეგ უთხრას ძირითადი სათქმელი, ვიდრე პირდაპირ განუცხადოს, რომ ხვალ სამსახურში გადის. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში კონფლიქტი მეუღლეებს შორის ნაკლებ მწვავედ წარიმართება.

მეორე სიტუაცია, როდესაც წინასწარ არ ვიცით, რომ ჩვენი ძირითადი გამოთქმით თავს ვესხმით მოსაუბრის „ხატს“.

ამ შემთხვევაში ძირითადი გამოთქმით, რომელიც წინდაუხედავად უკვე წამოგვცდა მოსაუბრეს ფსიქოლოგიურ ბურუსში ვახვედრებთ. მას ჩვენი განმარტებები უკვე ბუნდოვნად ესმის და ჩვენი არგუმენტები რაც არ უნდა გონივრული იყოს, არ გაჭრის. ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანია მოსაუბრეს ვაგრძნობინოთ ჩვენი კეთილგანწყობა შესტებით, მიმიკებით, ინტონაციით, მოვიპოვოთ მასში ნდობა და მხოლოდ ამის შემდეგ მოვიშველიოთ არგუმენტები.

ურთიერთობებში ფსიქოლოგიური ბურუსის არსებობა, რომელიც ჩვენს "ხატებზე" თავდასხმით არის გამოწვეული, გვაყენებს კონფლიქტურ და გაურკვეველ მდგომარეობაში. ვიმედოვნებთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რჩევები დაგეხმარებათ თავი აარიდოთ ზოგიერთი უსიამოვნო სიტუაცია, რომლითაც სავსეა ჩვენი ცხოვრება.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ეთნიური კონფლიქტი

მანანა დარჯანია

პრესას, ტელევიზიას ძალზე ხშირად ეთნიური კონფლიქტების გაღვივებაში სდებენ ბრალს და არც თუ უსაფუძვლოდ. მაგრამ გვაუწყდება, რომ ეთნიურ კონფლიქტში მას-მედიის დადებით თუ უარყოფით როლს მნიშვნელოვნად განაპირობებს თავად იმ საზოგადოების აზროვნებისა და ქცევის წესი, რომელსაც ემსახურება მას-მედია. ანუ, როგორი საზოგადოებაცაა, ისეთივეა საინფორმაციო საშუალებებიც.

ეთნიური კონფლიქტების ესკალაციის პერიოდში დაპირისპირებულ მხარეებში მკვიდრდება საკუთარი ქმედების გამართლების, საკუთარ

სიმართლეში სხვათა დარწმუნების ეთიკა, სადაც დომინირებს პრინციპი: ეს ჩემი ქვეყანაა და არა აქვს მნიშვნელობა მართალია ის თუ არა, ვინც ასე არ მსჯელობს, პატრიოტი არ არის... და სხვა. ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია მერაბ მამარდაშვილის მიერ გამოთქმული შემდეგი აზრით: “თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მომხიბლველი და დამარწმუნებელია ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე, იგი თხევადი საწამლაკითაა, რომელიც ბევრად უფრო ეფექტურად მოქმედებს ვიდრე ცენზურა, ავტორების დევნა. ის შიგნიდან გლრღნის, შიგნიდან იჭრება ტვინში და

რეალურად გიზიდავს, გზიბლავს. საიდან მოდის ეს ხიბლი? იქედან, რომ ასეთი აზროვნება ნებას გაძლევს თავი ჭკვიანი გეგონოს, დაიჯერო რომ ყველაფერი გესმის თავზე ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. ზოგადად, ადამიანი ზარმაცია, ამიტომ ის სპონტანურად უერთდება იმას, რაც მას ჰპირდება, რაღაცად გაგზნავს. ამ ცთუნებამ კარგი ნაყოფი გამოიღო ყოფილ საბჭოთა კავშირში.” თუკი ჩვენს უახლოეს წარსულს გავიხსენებთ, ეს აზრი სავსებით მიესადაგება ნაციონალისტური მოძრაობის იმ პერიოდს, როდესაც სიტყვა თვითრეალიზაციის მთავარი საშუალებად იქცა, როგორც პოლიტიკურ ლიდერთათათვის, ინტელიგენციისათვის, ასევე მავანთა და მავანთათვის. ამ პერიოდში პატრიოტული მოწოდებებით საზოგადოების დამუხტვას განსაკუთრებით ინტელიგენცია ახერხებს. ოპონენტისადმი მიმართული სიტყვა უხეშია, შეურაცხყოფელი, ხშირად ცილისმწამებლური. ასევე, არც თუ იშვიათად ცალკეული ლიდერების, თუ ავანტიურისტების გამონათქვამები მოწინააღმდეგე მხარეს მთელი ერის პოზიციად მიეწოდება ან ის თავად ასე აღიქვამს. ორივე ეს ხერხი მტრის ხატის შექმნის ეფექტური საშუალებაა. საბოლოოდ მხარეები იკავებენ უკიდურეს პოზიციებს. მოწინააღმდეგის ძალისა და შესაძლებლობების იგნორირება, უმცირესობაზე უმრავლესობის ძალის გამოყენების და პრობლემის ამ “მარტივი” გზით გადაჭრის აზრი საზოგადოებაში სულ უფრო მისაღები ხდება. პრინციპი - არ ავნო ხალხს, არავის ახსოვს, მათ შორის არც ჟურნალისტებს. თანაც ეთნიურ ძალადობას ამართლებენ იმ მოსაზრებით, რომ ის თავდაცვითი ხასიათისაა. შიში კი, როგორც ცნობილია, აგრესიაში გადადის, რადგან აგრესია, რატომღაც, ხიფათის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად აღიქმება. სწორედ აქ ვლინდება მას-მედიის მოუმზადებლობა, შეასრულოს კონსტრუქციული როლი ხიფათის განცდის შემცირებასა თუ განეიტრალებაში. რეალურად კი ამის მექანიზმები საინფორმაციო საშუალებებს გააჩნიათ. მაგალითად, შეიძლება მხარეების პოზიციების გადამოწმება, დაზუსტება,

კონსტრუქციული დიალოგის გამართვა. მაგრამ მას-მედია, ასევე საკუთარი ქვეყნის სიმართლის სინდრომით შეპყრობილი, ამ გზას არ მიმართავს, ან ვერ მიმართავს. შედეგად, ირღვევა ჟურნალისტური ეთიკის მთავარი პრინციპი: მოვუსმინოთ, გავიგოთ მეორე მხარის აზრი, პრეტენზიები, გადავამოწმოთ ფაქტები და სხვა. ჯერ კიდევ ტოტალიტარული აზროვნების ტყვეობაში მყოფ საზოგადოებაში ამის სურვილი ფაქტიურად არ არსებობს. ჟურნალისტებიც, ასევე ემოციური და მიკერძოებულები ხდებიან, რადგან კონფლიქტის მხოლოდ ერთ მხარესთან ურთიერთობა მათშიც მხოლოდ თავ-თავიანთი საზოგადოების ტკივილებსა და წყენაზე ფოკუსირებას იწვევს. დაპირისპირებულ მხარეებს, მათ შორის საინფორმაციო საშუალებებს ერთურთის არ ესმით, რასაც “ბუნკერის” სიტუაციას უწოდებენ. ამგვარად, მას-მედია, რომლის მეშვეობითაც ფორმირდება საზოგადოების თუ ცალკეულ ლიდერთა პოლიტიკა, საზოგადოებრივი აზრი, საქციელი, ქმედება, საინფორმაციო ომისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის.

არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტი, მათ შორის ეთნიურიც, მთელი საზოგადოების ევოლუციური ცვლილებების ბიძგად შეიძლება იქცეს. ზოგჯერ კონფლიქტი ეხმარება საზოგადოებას, ცალკეულ ინდივიდს გაერკვეს რა სურს, საითკენ ისწრაფვის, სწორია თუ არა მისი არჩევანი, შესაძლებელია თუ არა ისეთი კომპრომისი, რომ ორივე მხარის ინტერესები დაკმაყოფილდეს და სხვ. ყოველივე ეს მიღწევადაა მხოლოდ მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგენი გამოდიან “ბუნკერის” მდგომარეობიდან და ერთმანეთის მოსმენას იწყებენ. მხარეები ეცნობიან ერთმანეთის პრეტენზიებს თუ ინტერესებს. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც საინფორმაციო საშუალებებს უაღრესად მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებათ. მაინც როგორი უნდა იყოს მას-მედიის როლი კონფლიქტის დარეგულირებაში?

დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს მთელი რიგი გამოკვლევები, რეკომენდაციები, რომლებიც ამ სფეროში ჟურნალისტის როლსა და შესაძლებლობებზე მიუთითებენ, მაგრამ მათი

ბრმად გამოყენება არაფერს მოგვცემს მანამ, სანამ საზოგადოებაში, მას-მეღიაში კონფლიქტის მიმართ ცალსახოვანი აზრი არსებობს (ანუ მოქმედებს სტერეოტიპი: ვინც ასე არ ამბობს, ან არ აზროვნებს - მტერია, აგენტია, პატრიოტი არ არის და ა. შ.). საზოგადოების და მას-მეღიის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტში დაპირისპირებულ მხარესთან ყოველგვარი სამშვიდობო მოლაპარაკება მხოლოდ პოზიციების დათმობას, ცალ-მხრივ კომპრომისს გულისხმობს, რომ აუცილებელია ძალადობრივი გზის პროპაგანდა რომელიც ქვეყნისგან ბრძოლისუნარიანობის ამღლებას, რევანშის აღების აუცილებლობას მოითხოვს. საზოგადოების და ჟურნალისტების გარკვეული ნაწილი, რომლებიც სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობენ, დაგვეთანხმებინ, რომ ამ მოლაპარაკებების წარმართვა არანაკლებ ძალისხმევას და მზაობას მოითხოვს. ეს იგივე ბრძოლის ველია, მაგრამ ინტელექტუალური, ვერბალური ბრძოლის ველი, სადაც ოპონენტის დარწმუნება, ურთიერთ-მოძებნა კომპრომისებზე, თანამშრომლობაზე დაყოლიება ისევე რთულია, როგორც ომის მოგება.

მას-მეღიის ეფექტური როლი კონფლიქტის დარეგულირებაში ბევრადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ რამდენად ვიცნობთ კონფლიქტის მეორე მხარის არა მარტო პრეტენზიებს, აგრესიულ ზრახვებს, არამედ, ამ ხალხის ყოფით, სოციალურ პრობლემებს, მათ ფსიქოლოგიას, მათი მხრიდან გამოთქმულ კონსტრუქტიულ საღ აზრსაც, მაგრამ დღეს, შეიძლება ითქვას მას-მეღია ამას არ ესწრაფვის. საზოგადოება, ჟურნალისტები ცუდად ვიცნობთ კონფლიქტის წყაროებს, მიზეზებს, კონფლიქტის მეორე მხარეს.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში - აფხაზ ერს, მის კულტურას, ისტორიას. ვინც აფხაზურ ხალხურ კოდექსს, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საუკუნოვან ტრადიციებს იცნობს, არ შეიძლება უფრო ღრმად არ ჩაუფიქრდეს მომხდარს, მიხვდეს იმასაც, რომ ომის აცილება შეუძლებელი არ იყო. ახალი ურთიერთობების აგება შესაძლებელია სწორედ ამ ურთიერთობებზე დაყრდნობით. ასევე, არ შეიძლება მთელი ერის სეპარატისტებად მოხსენიება. დღეს არა მარტო ქართველები და აფხაზები, საერთოდ, კავკასიელები ერთურთს არ ვიცნობთ. კავკასია კი კულტურათა გიგანტური საგანძურია, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ქმნიდნენ ჩვენი წინაპრები. ამ რეგიონს, ეთნიური სიჭრელის მიუხედავად, მშვიდობიანი თანაცხოვრების უზარმაზარი კულტურა და პოტენციალი გააჩნია.

ყოველივე ამის კვლავ წარმოჩენა და პროპაგანდა, ერების ისტორიული მექანიზმების აღდგენა მას-მეღიის უპირველესი ვალია.

მართალია, რაც დრო გადის, საინფორმაციო საშუალებებში დემოკრატიის ელ-

ემენტებიც იზრდება და ეს კონფლიქტების გაშუქებასაც ეხება. დღეს ჟურნალისტთა ნაწილი ტელე-სიუჟეტებსა და რეპორტაჟებში ცდილობს იყოს მიუკერძოებელი, აშუქებს კონფლიქტის ორთავე მხარის მოსაზრებებს, მათი კომენტარიც ფრონტილი და ზომიერია, მაგრამ საზოგადოებას არც ეს აკმაყოფილებს. როგორც სამშვიდობო მენტალიტეტის ადამიანები, ასევე ძალისმიერი გზის მომხრენი გარკვეულ ფსიქოლოგიურ დისკომფორტს განიცდიან იმის გამოც, რომ მშვიდობიანი დარეგულირების პროცესიც ძალზე დუნედ და არაეფექტურად მიმდინარეობს. ალბათ იკითხავთ, ამ შემთხვევაში მაინც რაში მდგომარე-



ობს ჟურნალისტის ბრალეულობა? კონკრეტული შედეგები ხომ სახელმწიფო გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული? მაგრამ საქმეც სწორედ იმაშია, რომ ჟურნალისტებს გვავეწყდება, სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის ნიადაგი თავად საზოგადოებაში, ხალხში უნდა მომწიფდეს, ყოველ შემთხვევაში დემოკრატიულ ქვეყნებში ასე ხდება. ჩვენც უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ კონფლიქტში მყოფი ხალხების თანაცხოვრების შესაძლებლობების ახალი მოდელიც თავად ხალხში უნდა მომწიფდეს. მაგრამ თუკი ჩვენს საინფორმაციო საშუალებებს თვალს გადავაგვლებთ, დავინახავთ, რომ მას-მედია უპირატესობას არა ხალხის, არამედ მთავრობის, პოლიტიკური ლიდერების პოზიციების დაფიქსირებას და მათ კომენტირებასა თუ ანალიზს ანიჭებს. ანუ, ხალხთან ხელისუფლების თვალსაზრისი მიგვაქვს, ხალხისა - მთავრობასთან ნაკლებად. არა და ჟურნალისტი, პირველ რიგში, ხალხის ხელისუფლებასთან შუამავალია და არა პირიქით. თუ ასე გაგრძელდება, ჩვენც იმ ხელისუფალთ დავემგვანებით, ვისთვისაც ხალხის არარსებობა გამოსავალია. (ცნობილი გამოთქმისა არ იყოს “არ არის ხალხი – არ არის პრობლემა”). მაშინ სამოქალაქო საზოგადოებაზე, დემოკრატიაზე და პრესის თავისუფლებაზე საუბარიც არ ელირება. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ უფლება და საშუალება ყველაფერი იცოდნენ, ეს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა. ხალხს დღეს არ სურს იყოს ცალსახა პოლიტიკური აზრის მატარებელი, დესტრუქციული ძალების მანიპულირებისათვის გამოსადეგი მასა. მაგრამ ჩვენი ზოგიერთი საინფორმაციო საშუალება მათ ზოგჯერ სწორედ ამისკენ უბიძგებენ. ალბათ ხშირად აფიქსირებთ პრესის ნეგატიურ დამოკიდებულებას აფხაზეთიდან დევნილი იმ მოსახლეობისადმი, რომლებიც ყველაფრის მიუხედავად, სეპარატისტული რეჟიმის, სიცოცხლისათვის რეალური საფრთხის პირობებში საკუთარ კერას უბრუნდებიან. ზოგი ჟურნალისტი ამ ხალხს ლამის სამშობლოს ღალატში სდებს ბრალს. საოცრებაა, ჩვენი წინაპრებიც კი,

რომელთაც სამშობლოს შენარჩუნებისათვის ჩვენზე გაცილებით მეტი ჭირ-ვარამი გამოუვლიათ, ასეთ განაჩენს თანამემამულეს ნამდვილად არ გამოუტანდნენ. რა დასაძრახია ადამიანი, რომელსაც მშობლიურ კერაზე დაბრუნების იმედიღა ასულდგმულებს? თუ მისთვის სამშობლო უპირველესად ის პატარა მამულია სადაც მიწა ოფლით მოურწყავს? . . . როგორც დიდ მწუხარებას ან სიხარულს, ასევე ადამიანის დაბადების ან გარდაცვალების ფაქტს ეროვნულობის ელფერი არ შეიძლება გააჩნდეს, ასევე აბსურდია, რომ მშობლიურ სახლში დაბრუნების უსაზღვრო წადილი ტერიტორიულ, ნაციონალურ ინტერესებთან გავაიგივოთ. როგორც ჩანს, ეს ჩვენზე კარგად ჩვენს წინაპრებს ესმოდათ. აკი ქართული ანდაზა ამბობს: “პატრიოტიზმს თუ ბოლომდე ჩაყვი, საკუთარი კერის სიყვარულამდე მიგიყვანს.” სწორედ კერისადმი ერთგულებამ და უსაზღვრო სიყვარულმა, წინაპართა საფლავების მიმართ პატივისცემამ არ გადააშენა ქართული გენი. ხალხიც, ვინც ყველაფრის მიუხედავად მშობლიურ კერისაკენ მიილტვის, ყველაზე დიდი პატრიოტებია. ჩვენ კი ჯიუტად არ გვსურს დავინახოთ ეს ჭეშმარიტება. რატომ? იქნებ იმიტომ, რომ ზედაპირზე არ დევს, პასპორტში ეროვნულობის გრაფით ვერ დაფიქსირდება?... იქნებ იმიტომაც არ გვსურს, რომ შეხლდული აზროვნება ურაპატრიოტთა გარშემო თანამოაზრეთა მთელ ლეგიონს გააერთიანებს.

გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი ალბერტ კამიუ ამბობდა: “ამ ქვეყნად არის ერთი სიმართლე და ეს ადამიანის სიმართლეა, სწორედ მისი წარმოჩენაა მთავარი. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დამახინჯება არ შეიძლება, არჩევანი უნდა გაკეთდეს სამართლიანობაზე, რომელიც მხოლოდ მას, ადამიანს გაეგება.”

ი უ მ თ რ ი

ცნობილია, რომ იუმორის გრძნობა ადამიანს ეხმარება ადვილად დასძლიოს სტრესი, იმედით შეხედოს მომავალს, ასე განსაჯეთ, იუმორი ადამიანს აგრესიის დაძლევაშიც შეეხმება. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ აფხაზეთიდან დევნილთა წრეში ბევრი ისეთი ანეგლოტი შეიქმნა, რომლებიც კონფლიქტში დაპირისპირებული მხარის მიმართ აგრესიულობით ნამდვილად არ გამოირჩევიან. ჩვენ ვხუმრობთ, ე.ი. ჩვენ ვცოცხლობთ, იმედით შევყურებთ ზვალინდელ დღეს - ამბობენ დევნილები და დევნილობის პერიოდში შექმნილ ანეგლოტებს გვიყვებიან:

გალის რაიონში მომხდარი ტრაგედიის, მოსახლეობის განმეორებით იქედან გამოდევნის დღეებში დევნილთა ახალმა ნაკადმა თავი კვლავ თბილისს შეაფარა. გლდანის რაიონის მეტროპოლიტენის სადგურში გალის რაიონის სოფლებიდან ახლადგამოსული რამდენიმე ოჯახი შეყრილიყო, ემოციურად საუბრობდნენ, ზოგიც ტიროდა.

- ჩტო ს ვამი სლუჩილოს, იკითხა ერთმა ცნობისმოყვარე მზესუმზირის გამყიდველმა მოხუცმა.
- ნიჩეგო ნოვოგო ბაბუშკა, სდალი გალი, ვზიალი გლდანი.- უპასუხა ერთ-ერთმა გალელმა.

მოსკოვში ერთმანეთს ძველი სოხუმელი მეგობრები: დევნილი ქართველი და სოხუმიდან ჩასული აფხაზი შეხვდა. საუბრის დაწყება რომ არ გასჭირვებოდათ, ჯერ ომამდელი დრო გაიხსენეს, ნორმალური სოციალური პირობები ეხლანდელ გაუსაძლის ყოფას შეადარეს, შემდეგ დააკონკრეტეს ვის რა უჭირდა. აფხაზმა ბლოკადა მახრჩობსო, ქართველმა თელასი და მეცხრე ბლოკი დაადანაშაულა, თორემ სხვამხრივ გასაძლისიაო. (სოხუმს ელექტროენერგიას კრასნოდარის მხარე აწვდის და ეს პრობლემა ქალაქს არ აწუხებს).

-ჰო... მართალი ხარ, ძნელია უშუქობა, ერთხელ სოხუმშიც შეგვიწყვიტეს ელექტროენერგის მიწოდება და ვიფიქრეთ, ალბათ უკვე საქართველოს მიგვაერთეს. - “უთანაგრძნო” აფხაზმა.

სოხუმელი თბილისიდან თავის ბინაში, სოხუმში რეკავს. ყურმილს იქ თვითნებურად შესახლებული აფხაზი იღებს.

- ვისი ბინაა?- კითხულობს ბინის პატრონი.
- როგორ თუ ბინა, ეს ჩემი ტელეფონიანი და მრავალსართულიანი სახლია - პასუხობს ბინებს დახარბებული “ახალი მეპატრონე”, რომელსაც მთელი სადარბაზო მიუთვისებია.



რამდენად ტოლერანტული ხართ?

ისმენტ თუ არა სხვის აზრს? პატივისცემით და გაგებით ეკიდებით მას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ ეთანხმებით მას? ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარება მიახლოებით მაინც გაარკვიოთ თუ რამდენად შემწყნარებელი ხართ სხვისი აზრის მიმართ.

თითოეული კითხვისათვის ორი (ა ან ბ) ვარიანტიდან ამოირჩიეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

1. თვლით, რომ საინტერესო იდეა გაქვთ, მაგრამ არავინ დაგიჭირათ მხარი. განაწყენდებით?

ა. დიახ – 0 ქულა;

ბ. არა –2 ქულა.

2. ამხანაგების წრეში ხართ და ერთ-ერთი მათგანი თამაშს გთავაზობთ. თქვენ გირჩევენიათ:

ა. თამაშში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ მათ, ვინც კარგად თამაშობს –0 ქულა;

ბ. ითამაშონ იმათაც, ვინც ჯერ კიდევ არ იცის ეს თამაში –2 ქულა.

3. მშვიდად იღებთ თქვენთვის არასასიამოვნო ამბავს?

ა. დიახ – 0 ქულა;

ბ. არა – 2 ქულა.

4. გაღიზიანებთ ადამიანები, რომელნიც საზოგადოების თავშეყრის ადგილებში ნასვამ მდგომარეობაში ჩნდებიან?

ა. თუ ისინი ზღვარს არ გადადიან, არც ვაქცევ ყურადღებას –2 ქულა;

ბ. ყოველთვის მაღიზიანებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ვერ აკონტროლებენ საკუთარ თავს – 0 ქულა.

5. ადვილად პოულობთ საერთოს ისეთ ადამიანებთან, რომლებიც განსხვავდებიან თქვენგან ჩვეულებებით, პროფესიით, მდგომარეობით?

ა. მიჭირს ამის გაკეთება – 0 ქულა;

ბ. განსხვავებებს არ ვაქცევ ყურადღებას –2 ქულა.

6. რა რეაქცია გაქვთ ხუმრობაზე, რომლის ობიექტიც თქვენ ხართ?

ა. არ მომწონს არც ხუმრობა და არც ის, ვინც ხუმრობს – 0 ქულა;

ბ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხუმრობა არ მომეწონა, ვეცდები ხუმრობითვე ვუპასუხო – 2 ქულა.

7. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ ბევრი “თავის ადგილას არ ზის” და “თავის

საქმეს არ აკეთებს”?

- ა. დიახ – 0 ქულა;
- ბ. არა – 2 ქულა.

8. სტუმრად მიგყავთ ახალი მეგობარი, რომელიც ყურადღების ცენტრში ხვდება. თქვენი რეაქცია:

- ა. არ მსიამოვნებს, რადგან ამ შემთხვევაში მე მაკლდება ყურადღება – 0 ქულა;
- ბ. ვხარობ მის მაგივრად – 2 ქულა.

9. სტუმრად ხვდებით ხანშიშესულ ადამიანს, რომელიც აკრიტიკებს ახალგაზრდა თაობას და აღიღებს გარდასულ დღეებს. თქვენი რეაქცია:

- ა. ნაადრევად ტოვებთ მას და მიდინართ – 0 ქულა;
- ბ. კამათში ერთვებით – 2 ქულა.

დაითვალეთ ქოლში

0-დან 4-მდე:

თქვენ ქედმოუხრელი, და უკაცრავად, ჯიუტი ბრძანდებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რაღაც არ უნდა დაგიჯდეთ ცდილობთ სხვას თავს მოახვიოთ თქვენი აზრი. ასეთი ხასიათით რთულია ნორმალური ურთიერთობების შენარჩუნება ადამიანებთან, რომლებიც თქვენგან განსხვავებულად ფიქრობენ.

6-დან 12-მდე:

თქვენ შეგწევთ უნარი დაიცვათ საკუთარი მოსაზრებები. მაგრამ, ამასთანავე აუცილებლობის შემთხვევაში შეგიძლიათ შეიცვალოთ აზრი. ზოგჯერ, კამათის დროს მოწინააღმდეგე მხარეს ზედმეტად მკვეთრად პასუხობთ და ასეთ შემთხვევაში კამათში გამარჯვებული რჩებით, თუ მოსაუბრე სუსტი ხასიათისაა.

14-დან 18-მდე:

სიმტკიცე მოსაზრებებისა მშვენივრად შეესაბამება მოქნილობას, სისხარტეს თქვენი აზროვნებისა. შეგიძლიათ მიიღოთ ნებისმიერი იდეა, გაგებით მოეკიდოთ ერთი შეხედვით საკმაოდ პარადოქსულ საქციელს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას არ ეთანხმებით. ზომიერად კრიტიკულად ეკიდებით საკუთარ მოსაზრებებს და შეგწევთ უნარი ტაქტიანად უარყოთ ის შეხედულება, რომელიც თურმე არასწორი ყოფილა.

ლევ ტოლსტოი

დეა ლაღუა

- რას ნიშნავს სიტყვა “შეუწინააღმდეგებლობა”?
 - თქმულა: “არა წინ აღუდგე ბოროტსა”.
 - რას გამოხატავს ეს სიტყვა?
 - იგი გამოხატავს ქრისტიანულ სათნოებას.
 - ნიშნავს თუ არა ეს, რომ “შეუწინააღმდეგებლობა” უნდა გავიგოთ მისი სრული მნიშვნელობით, ანუ არაფრით შევეწინააღმდეგოთ ბოროტს?
 - არა, ეს ნიშნავს, რომ ბოროტებას ბოროტებითვე არ უნდა ვუპასუხოთ. ჭეშმარიტი შეუწინააღმდეგებლობა ერთადერთი “მართალი” ძალაა ბოროტების წინააღმდეგ.
- ეს სიტყვები ეკუთვნის “ისტორიის მიერ დაუმსახურებლად მივიწყებულ” (ლ. ტოლსტოი) ბოროტებასთან შეუწინააღმდეგებლობის იდეის ერთ-ერთ მიმდევარს ადინ ბალუს. . . იდეა, რომელთანაც თავად ლევ ტოლსტოი ნახევარი ცხოვრების გავლის, ღრმა სულიერი კრიზისის გადატანის შემდეგ მივიდა. მანამდე, კი, იყო გრძელი, საინტერესო, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების გზა. . . გზა დიდი მოაზროვნისა.




57 წლის ასაკში ლევ ტოლსტოიმ ღრმა სულიერი კრიზისი განიცადა. ამ დროისათვის იგი უკვე გამოჩენილი მწერალია, ავტორი ისეთი ნაწარმოებებისა, როგორიცაა “ომი და მშვიდობა”, “ანნა კარენინა”. თავად ტოლსტოი ასე იგონებს იმ წლებს “ალსარებაში”: იმ პერიოდისათვის უკვე ვიგემე მწერლობის ტკბილი ბანგი, ცდუნება უზარმაზარი ჰონორარებისა და ტაშისკვრისა იმ უმნიშვნელო საქმიანობისთვის, რასაც ჩემი შემოქმედება ჰქვია, განვაგრძობდი ასე ცხოვრებას, ვიუმჯობესებდი მატერიალურ კეთილდღეობას, ვახშობდი ყოველგვარ შეკითხვას ჩემი, და საერთოდ, ცხოვრების არსსა და აზრზე.” რა მოხდა შემდეგ? “შემდეგ რაღაც შეიცვალა ჩემში” – მოგვითხრობს ტოლსტოი, – “ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ცხოვრება გაჩერდა და მე არ ვიცოდი რა მექნა, აწი როგორ მეცხოვრა.” ტოლსტოი მთელი თავისი არსებით გრძნობს ირგვლივ გამეფებულ უსამართლობას, უთანასწორობას, სისასტიკეს; მისი მსოფლმხედველობა, რწმენა, სული, არ ეთანხმება ირგვლივ არსებულ რეალობას. იგი საოცარ სულიერ ტანჯავს განიცდის და ილტვის სიახლისკენ, ცვლილებისკენ, მაგრამ როგორ და რა გზით? ტოლსტოი აღარ თვლის მწერლობას იმ ძალად, რომელსაც შესწევს უნარი რეალური ცვლილება შეიტანოს ცხოვრებაში.

მის დღიურებში ხშირად შეხვდებით ფრაზას, რომ სრცხვენია კიდევაც მიუჯდეს საწერმაგიდას, მოსამსახურემ მიაართვას ფინჯანი ყავა და მანაც უდრტვინველად წეროს რომანები, როდესაც ირგვლივ უსამართლობას, გაჭირვებასა და უბედურებას მოუცავს ქვეყანა. ცვლილება აუცილებელია!

ტოლსტოის სულიერი კრიზისი მთავრდება იქ, სადაც მისი შინაგანი მე პოულობს პასუხს თუ როგორ შეიძლება შეცვალოს არსებული სასტიკი რეალობა – არაძალადობა და ბოროტების შეუწინააღმდეგებლობა – პასუხი, რომელსაც წლების მანძილზე ეძებდა. . . პასუხი, რომელიც სახარებაში ჰპოვა. “დიდი ხნის ტანჯვისა და ძიების შემდეგ დავრჩი მარტო ჩემს თავსა და იმ საოცარ წიგნთან, რომელსაც სახარება ჰქვია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავკარგე ყოველგვარი ნდობა სამეცნიერო თუ თეოლოგიური კრიტიკული ინტერპრეტაციების მიმართ, უეცრად მივხვდი იმას, რასაც მანამდე ვერ ვგრძნობდი. ნაწყვეტი, რომელიც გახდა ამოსავალი პასუხისა მოცემულია მათეს სახარების V თავში: “თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: “თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ”. მე კი გეუბნებით თქვენ: “წინ ნუ აღუდგებით ბოროტს.” მოულოდნელად მე ჩავხვდი ამ აზრის სინათლესა და სიმარტივეს. ყველაფერი, რაც კი სიმართლის გაგებაში მეღობებოდა წინ, გაქრა და ჩემს წინაშე გადაიშალა ჭეშმარიტება მთელი თავისი სილამაზით.”

მას შემდეგ რაც პასუხი მოპოვებულია, ტოლსტოიმ თავი დააღწია ტანჯვასა და სასოწარკვეთილობას, დაუბრუნდა სასიცოცხლო ძალა და იწყება ღრმა, საფუძვლიანი გაანალიზება ახალი მონაპოვარისა. არაძალადობასა და ბოროტებას შეუწინააღმდეგებლობის იდეას უძღვნის მწერალი არაერთ ნაშრომს, სადაც ის არაჩვეულებრივი დამაჯერებლობითა და სიძლიერით ამტკიცებს ადამიანების (საზოგადოების) ცნობიერებაში გადატრიალების აუცილებლობასა და გარდაუვალობას. გადატრიალებას – ძალადობიდან არაძალადობისკენ, სიძულვილიდან – სიყვარულისკენ, შევიწროებიდან – თავისუფლებისკენ. ტოლსტოის მრწამსი არაძალადობის სიძლიერეში მტკიცე და ურყევეია. იგი უარყოფს ძალადობის ყოველგვარ ფორმას და გამოვლინებას. ტოლსტოის არ სჯერა საზოგადოების სამართლიანი გარდაქმნისა “გარეგანი” (პოლიტიკური) საშუალებებით “ყოველგვარი პოლიტიკური სწავლება საფუძველშივე მცდარია. . . ყოველგვარი პოლიტიკური რევოლუციის შედეგად იცვლება მხოლოდ გარეგანი ფორმა, ხოლო არსი იგივე რჩება – სახელმწიფო წყობილება, რომელიც დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: ძალაუფლება მცირე ჯგუფისა მასებზე, ტყუილი, შიში და სიძულვილი ჩაგრული ხალხისა მმართველი კლასის მიმართ”. ნებისმიერი ძალადობა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ტანჯვისა და სიკვდილით დასჯის მუქარით აიძულებს საზოგადოების მეორე ნაწილს აკეთოს ის, რაც უნდა მოძალადეს. და ამიტომ, საზოგადოების ჩაგრული ნაწილი ასეთ მდგომარეობას ითმენს მანამ, სანამ თვითონ უფრო მეტად არ გაძლიერდება. შემდგომ, თვითონ სჩადის ძალადობას (და გაცილებით მეტი სისასტიკით) საზოგადოების სუსტი ნაწილის მიმართ. ძალადობა ყოველთვის ძალადობას შობს.



ტოლსტოი გამოსავალს “შინაგანი” ცვლილებებში ხედავს. მისი აზრით, სამართლიანი იქნება გარდაქმნა მხოლოდ მაშინ, როდესაც იცვლება საზოგადოების ცნობიერება, მხოლოდ სულიერი ძალების, სიყვარულის ჩართვით, არაძალადობის აღიარებითა და ამ პრინციპის გათავისების გზით. და პასუხი, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელსაც სურს “შინაგანი”, ცნობიერების გარდაქმნა, ასეთია:

1. თავად არ ჩაიდინო ძალადობა, ე.ი. არ დაჩაგრო, სცემო, მოკლა სხვა ადამიანი. არ ჩაიდინო

ეს არასდროს არც საკუთარი და არც ე.წ. “საზოგადოების” ინტერესების და მიზნების გამო.

2. არ მიიღო მონაწილეობა არანაირ ძალადობაში, ე.ი. არ უნდა იყო პოლიციელი, გუბერნატორი, მოსამართლე, მინისტრი, ჯარისკაცი, არ მიიღო მონაწილეობა სასამართლოში არც როგორც მომჩივანმა, არც დამცველად და არც მსაჯულად.

3. არ გაამართლო არანაირი ძალადობა.

1883 წელს ლევ ტოლსტოიმ მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ინიშნებოდა საოლქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულად. ტოლსტოიმ დემონსტრატულად უარი განაცხადა ასეთ შემოთავაზებაზე. მწერლის ეს, ერთი შეხედვით, არცთუ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შეფასებული. სინამდვილეში, კი, ეს არის არაძალადობრივი წინააღმდეგობის პირველი ნაბიჯი.

ლევ ტოლსტოი პირველყოფლისა საკუთარი თავისაგან მოითხოვდა არაძალადობის პრინციპების დაცვას ცხოვრებაში და სწორედ ეს იქცა მის პირად ტრაგედიად, რამეთუ იყო მემამულე და ძალაუფლებურად ჩაბმული იმ “ჯადოსნურ წრეში”, რომლის გარღვევასაც შეაღია ცხოვრების უკანასკნელი წლები.

(გაგრძელება იხილეთ შემდეგ ნომერში)

პ რ ო ბ რ ა მ ი ს ქ რ ო ნ ი კ ს

1999 წლის 2 აპრილს “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის საერთაშორისო ცენტრში” ჩატარდა ტრენინგი. წინამორბედი ტრენინგებისგან განსხვავებით ის, რიგი მიზეზების გამო, მხოლოდ ერთი დღე მიმდინარეობდა. წამყვანების მიერ სპეციალურად ამ ტრენინგისთვის შემუშავებულ იქნა შემოკლებული პროგრამა, რომლის თემები ეფექტური კომუნიკაციები და კონფლიქტების მოგვარება იყო.

ტრენინგში მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 21 პედაგოგი. აღსანიშნავია, რომ ისინი თბილისში დღესაც განაგრძობენ აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ტრენინგის თემებიც სწორედ მათი პროფესიის გათვალისწინებით შეირჩა და მომზადდა.

ტრენინგის საწყის ეტაპზე, როდესაც ერთმანეთს ეცნობიან ტრენერები და მონაწილენი, ეს უკანასკნელნი ტრენინგთან დაკავშირებით გამოთქვავდნენ თავიანთ მოსაზრებებსა და მოლოდინებს, ზოგიერთმა მასწავლებელმა ეჭვი გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ნაყოფიერი იქნებოდა ეს ერთდღიანი ტრენინგი მათთვის და რამდენად გამოადგებოდათ ყოველდღიურ პედაგოგიურ საქმიანობაში. მაგრამ შემდგომ, ტრენინგის ბოლოს, უკუკავშირის დროს გაირკვა – მიუხედავად იმისა რომ ტრენინგი მხოლოდ ერთი დღე მიმდინარეობდა მონაწილეებმა ღირებული და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს, განსაკუთრებით ხაზი გაესვა პრაქტიკული სავარჯიშოების მნიშვნელობას.

ტრენინგის წარმატებით ჩატარებაზე მეტყველებს ისიც, რომ ყველა მონაწილემ დიდი სურვილი გამოთქვა ვრცელ ტრენინგში მონაწილეობის მიღებაზე.

ICCN - ახალი გამოცემები


კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრმა ინგლისურ ენაზე გამოსცა ბროშურა *“Restoring the Culture of Peace in the Caucasus: A Human Solidarity Document”* “კავკასიაში მშვიდობის აღორძინებისათვის: “ადამიანთა სოლიდარობის დოკუმენტი”.

წიგნი მოგვითხრობს იმ ფაქტებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და საერთოდ, კავკასიაში არსებული სხვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეთა მშვიდობიანი მოსახლეობა, კონფრონტაციის მიუხედავად ერთუროს ძალადობისა და განუკითხაობისაგან იფარავდა, მფარველობდა. მომხდარი ფაქტების აღმწერი ის ადამიანები არიან, რომელთაც ყოველივე ეს თავად გადახდათ.

ბროშურის ინგლისურ ენაზე გამოშვება მიზნად ისახავს აჩვენოს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ დღეს არსებული კონფლიქტური აზროვნების საპირისპიროდ, კავკასიაში მშვიდობის კულტურას და ტრადიციებს საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს და სავსებით რეალურია, რომ ეს ფაქტორი კონფლიქტების დარეგულირების, ადამიანებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების აღდგენის ქვაკუთხედად იქცეს.

მასალების შეკრება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ევროკავშირის პროგრამა “ტაცისი“-ს დაფინანსებით მიმდინარე “ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის ღონისძიებების” პროექტის ფარგლებში. პარტნიორები არიან: ქართული მხრიდან “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის საერთაშორისო ცენტრი”, აფხაზური მხრიდან “ფონდი სამოქალაქო ინიციატივა, მომავლის ადამიანი” და საერთაშორისო ორგანიზაცია “ინტერნეშნლ ალერტი”.

კავკასიაში მშვიდობის კულტურის აღორძინებისათვის შესატყვისი მასალების შეგროვების აუცილებლობის იდეაც სწორედ ხსენებული პროექტის ფარგლებში მიმდინარე ერთ-ერთ ქართულ-აფხაზურ არასამთავრობო შეხვედრაზე იქნა მოწონებული. ქართული მხრიდან შეთავაზებულ ამ იდეას მხარი დაუჭირეს აგრეთვე სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებმაც. ამ პროექტის და ბროშურის ავტორმა, აფხაზეთიდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაცია “დაეხმარე საკუთარ თავს” პრეზიდენტმა ქ-მა მარინა ფაღავამ განაცხადა, რომ ბროშურის ინგლისური ვარიანტი დიდი პროექტის მხლოდ დასაწყისია. ფაქტიურად, ქართული და აფხაზური მხარე უკვე მზადაა იმისათვის, რომ უფრო ინტენსიურად იმუშაოს მასალების შემდგომ მოძიებასა და შეგროვებაზე. ამ პროცესში ასევე, აქტიურედ ჩაერთვებიან სხვა პარტნიორებიც. საბოლოო მი-



ქცევები, რომლებიც ხელს უწყობენ კონფლიქტის დეესკალაციას

- გამოხატეთ გრძნობები ბრალდებებისა და საყვედურების გარეშე.
- ნუ განავრცობთ საკამათო საკითხს.
- მოერიდეთ გამოთქმებს: “თქვენ ყოველთვის...” ან “თქვენ არასდროს...”
- რეაგირება მოახდინეთ ქცევაზე და ნუ მიაწვებთ “იარლიყებს”.
- დასძლიეთ წინააღმდეგობის ტენდენცია.
- ნუ მიიღებთ გადაწყვეტილებას მანამ, სანამ არ დაწინარღებით.

პროგრამაში მუშაობენ:

გიორგი სუციშვილი - პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი, პროგრამის ხელმძღვანელი.

ბაბა ნიშარაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი

დალი ბარბაკაშვილი - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

რუსუდან მშვილდოზაძე - ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, ფსიქოლოგიური მონიტორინგის ჯგუფის წევრი

თინა ასათიანი - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი, ფასილიტატორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

მამა რაზმაძე - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი.

ლია (ნათუნა) სანიძე - სოციალური ფსიქოლოგი, ფასილიტატორი

მანანა ღარჯანია - სარედაქციო ჯგუფის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი

დეა ღალუა - რედაქტორი, ფილოლოგი

არჩილ ხიფაშვილი - კომპიუტერული უზრუნველყოფა